



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030437163511220

№ 04-197/თ

01 / აპრილი / 2020 წ.

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტით განსაზღვრული ფარმაცევტული პროდუქტის ნუსხის, ფასის დადგენის წესის აგრეთვე, ამავე კომპონენტის ბენეფიციარების რეგისტრაციის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

„საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილების N1.9 დანართის მე-7 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 18 მარტის 01/3394 წერილის და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის № 01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე :

1. დამტკიცდეს:

ა) საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტით (დანართი N1.9) განსაზღვრული ფარმაცევტული პროდუქტის ნუსხა და ფასი, ამ ბრძანების N1 დანართის შესაბამისად.

ბ) „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის (დანართი N1.9) ბენეფიციარების რეგისტრაციის წესი და პირობები“, ამ ბრძანების N2 დანართის შესაბამისად:

2. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის (დანართი N1.9) ფარგლებში, ფარმაცევტული პროდუქტის ფასი დადგინდეს იმავე ფარმაცევტულ პროდუქტზე, საქართველოს ბაზარზე არსებული ფარმაცევტული კომპანიების მიერ წარმოდგენილი ფასის, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევისა და 2020 წლის განმავლობაში ფარმაცევტული პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, მიმდინარე კონსოლიდირებული ტენდერ(ებ)ის ფასის გათვალისწინებით.

3. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „2“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ფასის გადასინჯვა განხორციელდეს წელიწადში არაუმეტეს ერთხელ, ყოველი მიმდინარე წლის არაუგვიანეს დეკემბრის თვის 15 რიცხვისა.


4. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ.გოგოლაძე) და დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყონ კომპეტენციის შესაბამისად, ამ ბრძანების და მისი დანართების სააგენტოს ტერიტორიული და სტრუქტურული ერთეულებისათვის დაგზავნა და სააგენტოს ვებ-გვერდზე - www.ssa.gov.ge განთავსება.

5. სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტმა (თ. აბალაძე), კომპეტენციის შესაბამისად, ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის მეშვეობით, უზრუნველყონ ამ ბრძანებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობა.

6. ეს ბრძანება, გარდა პირველი და მე-2 პუნქტებისა, ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე. ამ ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტები ამოქმედდეს 2020 წლის 24 თებერვლიდან.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სასარჩელო განცხადებით – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი N6), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელემენტარულად 

გიორგი ნონკოლაური

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი (დანართი N1.9)
განსაზღვრული ფარმაცევტული პროდუქტის ნუსხა და ფასი

ჯენერიული დასახელება	დოზა	ბრენდული დასახელება	მწარმოებელი	ქვეყანა	რაოდენობა შეფუთვაში	ერთეული აბის ფასი
Atorvastatin	10mg	ატორისი ტაბ. 10მგ N30	KRKA (Slovenia)	სლოვენია	30	0.17
Atorvastatin	10mg	ტორვიტინი ტაბ. 10მგ N20	GMP	საქართველო	20	0.17
Atorvastatin	10mg	ატორვასტატინი-აპო 10მგ #100ტ	აპოტექსი	კანადა	100	0.17
Atorvastatin	10mg	რატიზოლი 10მგ #30ტ	ავერსი-რაციონალი	საქართველო	100	0.17
Atorvastatin	10mg	ლამბრინექსი; აპო ატოვასტატინი	ს-ლაბი	პოლონეთი	30	0.17
Atorvastatin	20mg	ატორისი ტაბ. 20მგ N30	KRKA (Slovenia)	სლოვენია	30	0.17
Atorvastatin	20mg	ტორვიტინი ტაბ. 20მგ N20	GMP	საქართველო	20	0.17
Atorvastatin	20mg	სტავრა 20მგ #30ტ	ალკალიდი	მაკედონია	30	0.17
Atorvastatin	20mg	რატიზოლი 20მგ #30ტ	ავერსი-რაციონალი	საქართველო	30	0.17
Atorvastatin	20mg	ლამბრინექსი; სტავრა	ს-ლაბი	პოლონეთი	30	0.17
Atorvastatin	40mg	ატორისი ტაბ. 40მგ N30	KRKA (Slovenia)	სლოვენია	30	0.55
Atorvastatin	40mg	რატიზოლი 40მგ #30ტ	ავერსი-რაციონალი	საქართველო	30	0.55
Atorvastatin	40mg	ლამბრინექსი	ს-ლაბი	პოლონეთი	30	0.55
Amlodipin	5mg	კარდილოპინი ტაბ. 5მგ N30	EGIS	უნგრეთი	30	0.12
Amlodipin	5mg	ადიპინი ტაბ. 5მგ N30	GMP	საქართველო	30	0.12
Amlodipin	5mg	ამტასი 5მგ #20ტ	ავერსი-რაციონალი	საქართველო	20	0.12
Amlodipin	5mg	ამლოდიპინი-აკორდი	აკორდ ჰელსქეარ	დიდი ბრიტანეთი	28	0.12
Bisoprolol	5mg	სობიკორი ტაბ.5მგ N30	KRKA (Slovenia)	სლოვენია	30	0.13
Bisoprolol	5mg	ემკორი ტაბ. 5მგ N30	GMP	საქართველო	30	0.13
Bisoprolol	5mg	ბისოპროლოლი ნორმონი 5მგ#30	ლაბორ ნორმონი	ესპანეთი	30	0.13
Bisoprolol	5mg	ავეკორი 5მგ #30ტ	ავერსი-რაციონალი	საქართველო	30	0.13
Bisoprolol	5mg	ბისოპროლოლი ნორმონი; აპო-ბისოპროლოლი	აპოტექსი	კანადა	100	0.13
Enalapril	10mg	ენაპი ტაბ.10მგ N20	KRKA (Slovenia)	სლოვენია	20	0.12

დანართი 1

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტი (დანართი N1.9)
განსაზღვრული ფარმაცევტული პროდუქტის ნუსხა და ფასი

Enalapril	10mg	ენალაპრილი ტაბ. 10მგ N20	GMP	საქართველო	20	0.12
Enalapril	10mg	ენა-დენკი 10მგ #30ტ	დენკ ფარმა გერმანია	გერმანია	30	0.12
Enalapril	20mg	ენაპი ტაბ.20მგ N20	KRKA (Slovenia)	სლოვენია	20	0.17
Enalapril	20mg	ენა დენკი	დენკ ფარმა გერმანია	გერმანია	30	0.17
Losartan	100mg	ლორისტა ტაბ.100მგ N28	KRKA (Slovenia)	სლოვენია	28	0.47
Losartan	100mg	ლოსარტანი	დენკი	გერმანია	28	0.47
Losartan+Hidrochlorthiazide	50mg/12.5mg	ლორისტა H ტაბ. 50მგ/12.5მგ N28	KRKA (Slovenia)	სლოვენია	28	0.16
Losartan+Hidrochlorthiazide	50mg/12.5mg	კოლოსარ დენკი	დენკ ფარმა გერმანია	გერმანია	28	0.16
LOZAP®	100mg	ლოზარ-დენკი 100მგ #28ტ	დენკ ფარმა გერმანია	გერმანია	28	0.47
Perindopril+Amlodipine	4mg/5mg	ამლესა ტაბ. 4მგ/5მგ N30	KRKA (Slovenia)	სლოვენია	30	0.34
Perindopril+Amlodipine	4mg/5mg	ამრადიპინი ტაბ.4მგ/5მგ N30	GMP	საქართველო	30	0.34
Perindopril+Amlodipine	8mg/10mg	ამლესა ტაბ. 8მგ/10მგ N30	KRKA (Slovenia)	სლოვენია	30	0.66
Perindopril+Amlodipine	8mg/10mg	ამრადიპინი ტაბ.8მგ/10მგN30	GMP	საქართველო	30	0.66
Spironolacton	25mg	ვერომპირონი ტაბ. 25მგ N20	GR	უნგრეთი	20	0.20
Gliclazide	60mg	აპო-გლიკლაზიდი MR ტაბ. 60მგ N100	APO	კანადა	100	0.20
Salmeterol+Fluticasone	50mcg/250mcg	საფლუტინი 50/250მკგ 60დ.ფხ.ინჰ	Celon Pharma	პოლონეთი	1	23.40
Salmeterol+Fluticasone	50mcg/500mcg	საფლუტინი 50/500მკგ 60დ.ფხ.ინჰ	Celon Pharma	პოლონეთი	1	25.74
Methylprednisolone	16mg	მედროლი ტაბ. 16მგ N50	Pfizer (Italy)	იტალია	50	0.34
Carbamazepine	200mg	ფინლეფსინი ტაბ. 200მგ N50	Teva (Poland)	პოლონეთი	50	0.12
Carbamazepine	200mg	ნეიროლეფსინი ტაბ.200მგ N50	GMP	საქართველო	50	0.12
Carbamazepine	200mg	კარბამაზეპ(კონვეურატი)200მგ#50ტ	ავერსი-რაციონალი	საქართველო	50	0.12
Carbamazepine	200mg	კარბამაზეპინი (სლავია)	სლავია ფარმა	რუმინეთი	100	0.12

დანართი 1

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტით (დანართი N1.9) განსაზღვრული ფარმაცევტული პროდუქტის ნუსხა და ფასი

Lamotrigine	25mg	ლამოტრიგინი ნორმონი ტაბ. 25მგ N56	Normon	ესპანეთი	56	0.31
Lamotrigine	25mg	ლამიქტალი 25მგ #30ტ	გლასოსმიტკლაინი	ინგლისი	30	0.31
Levodopa+Carbidopa	250mg/25mg	ლევომედი ტაბ.250მგ/25მგ N100	Medochemie	კვიპროსი	100	0.39
Levodopa+Carbidopa	250mg/25mg	ლევოკომი 25მგ/250მგ #100ტ	ფარმასტარტი (ასინო)	უკრაინა	100	0.39
Amoxicilin	500mg	ამოქსიცილინი (პიკონ) 500მგ. N16	KRKA (Slovenia)	სლოვენია	16	0.30
Amoxicilin	500mg	ამოქსიცილინი(არსოჯილი)500მგ #21კ	ავერსი-რაციონალი	საქართველო	21	0.16
Amoxicilin	500mg	ამოქსიცილინი ათლონი	ათლონი	დიდი ბრიტანეთი	21	0.30
Azithromycin	250mg	სუმამედი 250მგ. კაფს.N6	Teva (Poland)	პოლონეთი	6	1.48
Azithromycin	250mg	აზითრომიცინი კაფს. 250მგ N6	GMP	საქართველო	6	1.48
Azithromycin	250mg	ტოპტი 250მგ #10კაფს	ავერსი-რაციონალი	საქართველო	10	1.48
Azithromycin	250mg	ზიტროტილი	ანფარმა	საბერძნეთი	6	1.48
Co-trimoxazol	480mg	სუმეტროლიმი(ბისეპტ) 480მგ.N20	EGIS	უნგრეთი	20	0.20
Co-trimoxazol	480mg	ბისეპტოლი 480მგ #20ტ	პოლფა ფაბიანიცე	პოლონეთი	20	0.20
Ceftriaxon	1000mg	ცეფტრიასონი (ცეფტრიასონი) 1გ ფლ	Antibiotice S.A.	რუმინეთი	1	2.18
Ceftriaxon	1000mg	ცეფტა(ცეფტრიასონი) 1გ N1 ფლ.	GMP	საქართველო	1	2.18
Ceftriaxon	1000mg	ცეფტრიასონი აჯუ 1გ #1ფლ	აჯუ ფარმი	კორეა	1	2.18
Ceftriaxon	1000mg	რაციოცეფი 1გ #1ფლ	ავერსი-რაციონალი	საქართველო	1	2.18
Ceftriaxon	1000mg	მედაქსონი	მელოხემი	კვიპროსი	1	2.18

საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის (დანართი N1.9) ბენეფიციარების რეგისტრაციის წესი და პირობები

1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტით“ (დანართი N1.9) ბენეფიციარების რეგისტრაციის წესი და პირობები“ (შემდგომში-პირობები) მომზადებულია „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის N36 დადგენილების (შემდგომში-დადგენილება) N1.9 დანართის მე-7 პუნქტის შესაბამისად და განსაზღვრავს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში-პროგრამა) მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ბენეფიციარების რეგისტრაციის წესსა და პირობებს.

2. მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტით სარგებლობა, დადგენილების N1.9 დანართის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეუძლიათ ქვემოთ ჩამოთვლილ მოსარგებლებს:

ა) სოციალურად დაუცველი პირები, (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 (ასი ათასი) ერთეულს);

ბ) საპენსიო ასაკის მოსახლეობა (ქალი – 60 წლიდან, მამაკაცი – 65 წლიდან);

გ) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი (შშმ ბავშვები, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები);

დ) ვეტერანი;

ე) პარკინსონით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები;

ვ) ეპილესიით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები;

ზ) 0-5 წლამდე ასაკის ბავშვები და 0-დან 5 წლამდე ასაკის შშმ ბავშვები; (ანტიბაქტერიული სამკურნალო საშუალებებით უზრუნველყოფა);

თ) გორის, ხაშურის, კასპის, ქარელის, დუშეთის, ონის, საჩხერის, ზუგდიდის, მესტიის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა.

3. მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის ანაზღაურება, სახელმწიფოს მხრიდან ხორციელდება დადგენილების N1.9. დანართის შესაბამისად, შემდეგი პირობებით:

ა) სოციალურად დაუცველი პირები, (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000 (ასი ათასი) ერთეულს), საპენსიო ასაკის მოსახლეობა (ქალი - 60 წლიდან, მამაკაცი - 65 წლიდან), ვეტერანი და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვები, აგრეთვე მკვეთრად

ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები; გორის, ხაშურის, კასპის, ქარელის, დუშეთის, ონის, საჩხერის, ზუგდიდის, მესტიის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტებში საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა მედიკამენტების შეძენისას ისარგებლებენ წლიური ლიმიტის ფარგლებში მედიკამენტის ღირებულების 100 % -ის დაფინანსებით;

ბ) ეპილევსიით და პარკინსონით დაავადებული საქართველოს მოქალაქეები მედიკამენტების შეძენისას ისარგებლებენ წლიური ლიმიტის ფარგლებში, მედიკამენტის ღირებულების 75%-იანი თანაგადახდით;

გ) 0-5 წლამდე ბავშვები - წლიური ლიმიტი - 50 ლარის ფარგლებში 50 %-იანი თანაგადახდით;

დ) 0-5 წლამდე შშმ ბავშვები - წლიური ლიმიტი - 100 ლარის ფარგლებში 50 % -იანი თანაგადახდით.

4. ბენეფიციართა რეგისტრაცია მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტში უნდა განახორციელდეს ექიმის მიერ, ელექტრონული რეცეპტის სისტემაში ელექტრონული რეცეპტის შექმნის გზით, შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) ექიმის მიერ ელექტრონული რეცეპტის მოდულში, ხდება პაციენტის პირადი ნომრით იდენტიფიცირება;

ბ) შემდეგ ხდება პროგრამულად გაწერილი დაავადებათა ჯგუფების (გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებები, ფილტვის ქრონიკული დაავადებები, დიაბეტი (ტიპი 2), ფარისებრი ჯირკვლის ქრონიკული დაავადებები, პარკინსონი, ეპილევსია, ანტიბაქტერიული მედიკამენტები) და ICD10 კოდის არჩევა;

გ) ფიქსირდება მედიკამენტი;

დ) იქმნება ელექტრონული რეცეპტი, რომელიც ასევე ელექტრონულად აისახება ფარმაცევტულ დაწესებულებაში.

5. ბენეფიციარს შეუძლია ერთ ჯერზე მიიღოს მხოლოდ 3 (სამი) თვის სამყოფი მედიკამენტი.